



KITTY MACHABELI

EARLY
MEDIIEVAL
GEORGIAN
STONE
CROSSES

პირი მაჩაბელი


კენკი
შე
სამედიევლის
საქართველო
ცხავები






Kitty Machabeli

**EARLY
MEDIEVAL
GEORGIAN
STONE CROSSES**



აღრული
გუა საუკუნეების
ძართული
ქვაჯვარები



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახლემიზო პროგრამა



**MINISTRY OF CULTURE, MONUMENT PROTECTION AND SPORT
STATE PROGRAMME FOR CULTURAL HERITAGE PROTECTION 2008**

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და
ქავლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

**G. CHUBINASHVILI NATIONAL RESEARCH CENTRE FOR
HISTORY OF GEORGIAN ART AND MONUMENT PROTECTION**

რედაქტორი: ნინო ჭიჭინაძე

Editor: Nino Chichinadze

თარგმანი: ნინო მატარაძე

Translation by: Nino Mataradze

დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი ბაგრატიონი

Design and layout by: Giorgi Bagrationi

გამოყენებული ფოტოები:

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის
ეროვნული ცენტრის ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია

გ. ბაგრატიონი, ე. გიგილაშვილი სქემები: მ. ბელაშვილი

Photographic Acknowledgements:

S. Kobuladze Laboratory for Photo Recording of Monuments of Art by G. Chubinashvili National Research Centre for History of Georgian Art and Monument Protection.

G. Bagrationi, E. Gigilashvili

figures: M. Beliashvili

© გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და
ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, 2008

© G. Chubinashvili National Research Centre for History of
Georgian Art and Monument Protection, 2008

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ილუსტრაციები ტაბულებზე: 1-15, 62-65, 70-71

© Georgian National Museum. Illustrations on the tables: 1-15, 62-65, 70-71

© ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ილუსტრაცია ტაბულაზე: 72

© Bolnisi Local history Museum. Illustration on the table: 72

ყველა უფლება დაცულია

All rights reserved

ISBN 978-9941-0-2109-1

დაიგეზდა გას „სეზარი“

„მე, თათვარაზ, აღუმართე ესე ჯუარი სახელითა ღმრთი-
საითა, შეწევნითა იესუ ქრისტესი...“

„წყალობითა ღმრთისაითა, მე, აპაზამან, ესე ჯუარი აღუ-
მართე სალოცველად ჩემდა და ცოლისა და შვილთათვის...“

„შეწევნითა ქრისტეისითა... ბრძანებითა ღმრთივ დაცუ-
ლისა მამფლისა არშუშა პატრიკიოსისა... აღვმართე პატიო-
სანი ჯუარი წმიდისა ღმრთისმშობლისა სახელსა, სალოცვე-
ლად ჩემთა და ძმათა ჩემთა...“

— ღალადებენ ქვაზე ამოკვეთილი
ასომთავრული წარწერები ჯვრების გადარჩენილ
კვარცხლბეკებზე და ჩვენს წინაპართა გულიდან
ამოხეთქილი ეს ვედრება დღესაც გვაღელვებს
და განგვაცდევინებს იმ უდიდეს კრძალვასა და
რწმენას, რასაც აქსოვდნენ ქვაჯვარების აღმ-
მართველი ქართველნი რწმენის ამ უდიდეს
გამოხატულებას.

ქვაჯვარათა აღმართვის ტრადიცია ძველ
წარმართულ კერპთა ადგილებზე წმინდა წი-
ნოს აღმართული პირველი ხის ჯვრებიდან
მომდინარეობს. ქართლის პირველი ქრისტიანი
მეფის მირიანის მიერ მცხეთაში ხის მონუმენ-
ტური ჯვრის აღმართვას მოჰყვა, „პატიოსანთა
ჯუართა“ აღმართვა თხოთის მთაზე, ბოდბესა
და უჯარმაში. ჯვრები ქართლის მრავალ მთაზე
აღიმართა. დროთა განმავლობაში ხის ჯვრებს
ქვის ჯვრები შეენაცვლა. სუმბათ დავითისძე
თავის თხზულებაში VII საუკუნის პირველი წახ-
ევრის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან
მოვლენათა შორის აღნიშნავს: „და აღმართა
ჯუარი ქვისა“. პირველ ხანებში სწორედ ამ ქვის
ჯვრებთან წარმოებდა ღვთისმსახურება. ასე
მიეცა დასაბამი ქართლში ქვაჯვარების გავრ-
ცელებას.

ჩვენ დრომდე რამდენიმე ათეულმა ქვა-
ჯვარამ და ქვასვეტმა მოაღწია. მათი უმეტე-
სობა საკმაოდ დაზიანებულია. სამნუხაროდ,
უმეტესობა ფრაგმენტულადა შემონახული.
მიუხედავად ამისა, ქვაჯვარების საერთო სახის
აღდგენა ხერხდება გადარჩენილი ფრაგმენტების
შეჯერებით რელიეფებზე შემონახულ გამოსახ-


ულებებთან. ქვაჯვარას უძველესი გამოსახულე-
ბა შემონახულია ეძანის ეკლესიის (VI ს.) აღ-
მოსავლეთის ფასადის რელიეფზე, რომელზეც
მკაფიოდაა ნაჩვენები ქვაჯვარას ყველა შემად-
გენელი წანილი: საფეხურებიანი კვარცხლბეკი,
რელიეფებით შემკული ქვის ოთხნახნაგა სვეტი,
უფლის საფლავის მოდელით დაგვირგვინებული
ორნამენტული სვეტისთავი და ბოლოს – ქვის
სკულპტურული ჯვარი.

ქვაჯვარას გამოსახულებაა აგრეთვე დმა-
ნისში აღმოჩენილ ქვაჯვარას სვეტის კაპიტელ-
ზე (VI ს.), რომელზეც ჯვრის თაყვანისცემის
უნიკალური სცენაა გამოსახული – ქვაჯვარას
წინ ქართველი დიდებულის-დონატორის ფიგუ-
რა (მის თავთან დაქარაგმებული ასომთავრული
წარწერა „ქრისტე შემიწყალე“). დმანური რე-
ლიეფური კომპოზიცია ქართლში ჯვრის კულ-
ტის არსებობის ხატოვანი ილუსტრაციაა.

ჯვრის თაყვანისცემის უძველესი ორიგი-
ნალური კომპოზიციაა წარმოდგენილი სამწევრ-
ისის რელიეფურ სტელაზე (VIs. ბოლო).

ქართულმა ქვაჯვარებმა უძველესი ქრის-
ტიანული რელიეფების უნიკალური ნიმუშები
შემოვინახა. რელიეფებით შემკული ქვასვეტე-
ბი შუა საუკუნეების პლასტიკის განვითარების
საწყისი ეტაპის დიდმინიჭვნელოვანი წანარმოე-
ბებია. ისინი განიხილება არა მხოლოდ როგორც
ქართული პლასტიკური ხელოვნების ძეგლები,
არამედ როგორც ქრისტიანული ქანდაკების
ზოგადი განვითარების ორგანული შემადგენე-
ლი წანილი.

ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვა-



სურ. 1. ქვასვეტის კაპიტელი. დმანისი

ჯვარების რელიეფები ქვეყნის სულიერ ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პლასტიკურ ნაწარმოებთა სრულიად განსაკუთრებული ჯგუფია, ადრექტისტიანული ქართლის გარკვეული რელიგიური და სოციალური მოვლენების ზემოქმედებით შექმნილი და ტრადიციული ადგილობრივი ხელოვნების ნიადაგზე განვითარებული.

ქვაჯვარათა სვეტების რელიეფებმა ჩვენამდე ძალზე დაზიანებულებმა მოაღწია. ამის მიზეზი უმთავრესად ქვის მასალის ხასიათია. ქართული ქვაჯვარები უმეტესად რბილი კირქვისგან მზადდებოდა, რომელიც კარგად ემორჩილება პლასტიკურ დამუშავებას. ყველა ქვაჯვარა ადგილობრივი მასალისაგან არის დამზადებული.

საქართველოს მსგავსად, ადრეულ შუა საუკუნეებში ქვაჯვარები სომხეთშიაც გავრცელდა. როგორც ჩანს, ორ მეზობელ ქვეყანაში ანალოგიური ძეგლები საერთო კულტურულ-ისტორიული და რელიგიური პირობების ზემოქმედებით შეიქმნა. მაგრამ ორივეგან ეს საკულტო ძეგლები თავისთავადი გზებით განვითარდა და შემდგომშიც ისინი სახეცვლილი გადადიან სხვა სფეროში: საქართველოში ადრექტისტიანული ქვაჯვარების მეტყველებებად მოქრული ვერცხლის ფირფიტებით მოქედილი საკურთხევლისწინა მონუმენტური ხის ჯვრები გვევლინება (სვანეთის ეკლესიებში დღემდე შემონახული), სომხეთში კი – ქვის ორნამენტული ხაჩკარები.

პირდაპირი წერილობითი წყაროების არარსებობა ართულებს ქვაჯვარათა შექმნის კონკრეტული პრაქტიკის დადგენას. მაგრამ ამ

საკულტო ძეგლების რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში რელიეფებით შემკულ ქვაჯვარათა დამზადების კარგად ორგანიზებული სისტემა არსებობდა. სავარაუდოა, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მუშაობდა სკულპტურული სახელოსნოები, რომლებიც ქვაჯვარებზე არსებულ დიდ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

ქვაჯვარების უპირატესი გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში დასტურდება. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან წარმომავალი ქვაჯვარების შეჯერებისას ცხადი ხდება, რომ საერთო სტილისტური მიღებობის ფარგლებში ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან სვეტის არქიტექტონიკით, რელიეფური დეკორის ხასიათით, რელიეფების კომპოზიციური სტრუქტურით, ორნამენტული მოტივების შერჩევით. ხერხდება კონკრეტული სახელოსნოების დამახასიათებელი მხატვრულ-კომპოზიციური ნიშნების გამოვლენა. შეიძლება გამოვყოთ მათი შექმნის გარკვეული ცენტრები: სამცხე-ჯავახეთი (ზედა თმოგვის, გიორგი წმინდის, ბარალეთის, კუმურდოს, ნაღვარევის ქვაჯვარები), თრიალეთი (ქვაჯვარათა ფრაგმენტები სოფ. ანდრაპიდან, ბეჭედაშენიდან, თეჯიშიდან), ქვემო ქართლი (დმანისის, ბოლნისის, დიდი გომარეთის, მამულაანთ სოფლის და სხვა ქვაჯვარანი), მიდა ქართლი (ხანდისის, საცხენისის, ბერიჯვრის, დავათის, კატაულას, უსანეთის ქვაჯვარები). სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დამკვიდრდა ტერმინი „ხანდისის ოსტატი“, რომელიც მოიცავს



განსაკუთრებული სტილისტიკის, თავისებური მხატვრული ნიშნების მქონე რელიეფებიან ქვასვეტებს, რომელთა კლასიკურ, დახვეწილ ნიმუშს ხანდისის სვეტი წარმოადგენს.

ქვაჯვარების განსაზღვრა და დათარიღება ეფუძნება მათი რელიეფური დეკორის მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს, ფიგურული გამოსახულებებისა და ორნამენტული მოტივების შეჯერებას ზუსტად დათარიღებულ ქართული არქიტექტურული ძეგლების რელიეფურ დეკორთან, ისეთების, როგორიცაა ქვემო ბოლნისის, ეძანის, თეთრიწყაროს ეკლესიები, მცხეთის ჯვრის ტაძარი.

ალბომში წარმოდგენილი ქვაჯვარების ნაწილი ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში (ხანდისი, ნათლისმცემელი), უმეტესობა კი პირველად მოხვდა სახელოვნებათმცოდნეო კვლევის სფეროში (კატაულას, უსანეთის, დმანისის, ნალვარევის, დავათის, საცხენისის, ბრძანისი, მამულას, სოფ. განთიადის ქვასვეტები). ამ სვეტების რელიეფური დეკორი წარმოდგენას გვიქმნის ადრეული შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაზე. ყოველი მათგანი მნიშვნელოვანია პლასტიკური ხელოვნების ზოგადი ისტორიისათვის. ქართული ქვაჯვარები, მათი ორიგინალური რელიეფური დეკორით, უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ძველი ქართული ხელოვნების ქმნილებები, არამედ ქრისტიანული ხელოვნების განვითარების ზოგად კონტექსტში. ამასთანავე, ისინი წარმოადგენენ ორიგინალური იკონოგრაფიული სქემების მნიშვნელოვან, ხშირად კი უნიკალურ ნიმუშებს, რომლებიც უფლებას გვაძლევს საქართველო ჩავრთოთ იმ ქვეყანათა წრეში, რომლებიც ადრეულ შუა საუკუნეებში ქმნიდნენ ახალ ქრისტიანულ იკონოგრაფიას. კატაკომბების მოხატულობებთან, ადრექრისტიანულ სარკოფაების რელიეფებთან, ბიზანტიურ სპილოს ძვლის ნაკეთობებთან და აღმოსავლურქრისტიანულ ლიტურგიკულ წივთებთან ერთად ისინი ღირსეულ ადგილს იმსახურებენ ადრეული ქრისტიანობის საყოველთაოდ ცნობილ ქმნილებათა შორის.

ქვასვეტების რელიეფური დეკორი მკაცრ თეოლოგიურ საფუძველზეა აგებული, ყოველი გამოსახულება საერთო იდეური პროგრამის ორგანული ნაწილია. ქართული ქვასვეტების ოს-

ტატები მათ წახნაგებს განიხილავდნენ, როგორც ერთიან სივრცეს წმინდა გამოსახულებებს განცადავს სათავსებლად. დაკვირვებამ აღმართვის თავდაპირველ ადგილას შემორჩენილ ქვაჯვარებზე დაგვარწმუნა, რომ მათი საფასადო მხარე, რომელზეც მთავარი კომპოზიცია გამოისახებოდა, დასავლეთისკენაა მიმართული. შესაბამისად, მლოცველი სახით აღმოსავლეთისკენ უნდა მდგარიყო. უმეტეს შემთხვევაში სვეტის აღმოსავლეთის (ზურგის) მხარე ან გლუვი, უორნამენტოა, ან სიმბოლური მცენარეული ორნამენტით დაფარული. ფიგურული რელიეფებით სამი მომიჯნავე წახნაგი იმკობოდა (და., სამრხ. და ჩრდ.). რელიეფების ამგვარ განაწილებაში ადრექრისტიანული სპილოს ძვლის ტრიპტიქების პრაქტიკის ერთგვარი გამოძახილი იგრძნობა, რადგან ქვის სვეტის წახნაგები მოიაზრებოდა ერთიან სასურათო არედ, რომელზეც წმინდა გამოსახულებები გარკვეული კომპოზიციური პრინციპებით განთავსდებოდა. რელიეფების განლაგებაში მკაცრად გააზრებული ლოგიკური სისტემა ჩანს, რომელშიც ყოველ დეტალს ზუსტად გარკვეული ადგილი აქვს მიჩენილი. ამ კანონზომიერების დადგენა ხელს უწყობს ფრაგმენტულად შემორჩენილი ქვასვეტების დაზიანებული რელიეფური კომპოზიციების აღდგენას, მათ რეკონსტრუქციას.

ქვასვეტების წახნაგებზე რელიეფების განაწილებაში მხატვრული და იდეური მხარის სრული შესაბამისობაა. ჩვეულებრივ, სვეტის წახნაგების ზედაპირი მოჩარჩოებულ არეებადაა დაყოფილი, რომლებშიც ცალკეული გამოსახულებები და ფიგურული კომპოზიციებია მოთავსებული. ყოველი მათგანი გააზრებულია, როგორც დამოუკიდებელი „ხატი“, რომელიც იმავდროულად სვეტის საერთო იკონოგრაფიულ პროგრამაშია ორგანულად ჩართული. რელიეფური სცენებისა და ფიგურების განსათავსებლად ქვის სისქეში ამოჭრილია ორნამენტული ჩარჩოები და ფიგურათა გარშემო ფონის თანდათანობითი ამოკვეთით იქმნება რელიეფური სახეები.

ქვაჯვარების სვეტების რელიეფები წარმოდგენას გვაძლევს შუა საუკუნეების ადრეული ეტაპის პლასტიკურ ხელოვნებაზე, მის შთაგონების წყაროებზე, საქართველოს ხელოვნების ურთიერთობებზე სხვა ქრისტიანული ქვეყნების ხე-

ლოვნებასთან. ეს რელიეფები ქმნის პლასტიკურ ნანარმოებთა წრეს, რომელშიც ეპოქისმიერი ნიშნები გამოიყენება. ამ დროს ქანდაკება იყო ხალხის რწმენის, ტრადიციის, მსოფლშეგრძნების გამომხატველი. ფრონტალობა, იერატულობა, სიბრტყობრიობა ბატონობს ადრეულ ქართულ რელიეფებში. ანტიკურობის მომდევნო ხანაში მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში გაბატონებული სიბრტყობრივი სტილის შექმნას დღეს მეცნიერება აღმოსავლურ ტრანსცენდენტურ ტენდენციებს უკავშირებს და რელიეფურ სახეთა სქემატიზმს, არქაულობასა და ფრონტალობას აღმოსავლეთიდან ათვისებულად მიიჩნევს. ადრეული ქართული რელიეფები ამის მკაფიო ნიმუშებს გვთავაზობს.

საქართველოში პლასტიკის განვითარების ეს ეტაპი ადგილობრივი ხალხური ტრადიციების გამოცოცხლებასთანა და კავშირებული, რომლებიც დათრგუნული იყო ელინისტურ-რომაული კულტურის ზემოქმედებით, მაგრამ არსებობას ხალხის წიაღში განაგრძობდა. ქრისტიანობის მიღებამ ძირძველი ეროვნული ტრადიციების აღორძინებას მისცა სტიმული. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, როდესაც მიმდინარეობდა თეოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბება, ეკლესიის მესვეურნი ცდილობდნენ შეეთავსებინათ ახალი რელიგიის სიმბოლური სახეები ხალხურ წარმოდგენებთან. ამ დროს ყალიბდება „ხატოვანი სიმბოლიკა“, რომელიც ხალხისთვის მისაწვდომს ხდიდა რთულ რელიგიურ ცნებებს. შუა საუკუნეების ადრეულ ეტაპზე იქმნებოდა ეპოქის თავისებური „ნიშნების სისტემა“, რომელშიც ქრისტიანულ სწავლებასა და სიმბოლოებზე დამყარებული სამყაროს სახე აისახებოდა. ქართულ ქვაჯვარათა რელიეფები ამ ეპოქის უაღრესად მეტყველი ვიზუალური საბუთებია.

ქვაჯვარების ფუნქციიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო, რომ მათი რელიეფური გამოსახულებები გასაგები ყოფილიყო მორჩმუნეთათვის. ამიტომ იყო, რომ მათზე გამოიყენებოდა უმარტივესი ქრისტიანული სიმბოლოები, ხატები, რომელთა მნიშვნელობა ადვილად იყო მისაწვდომი. თაყვანისცემის საგანი - ქვაჯვარა, მთელი თავისი ხატოვანი სისტემით, კარგად გააზრებულ მხატვრულ მთლიანობას წარმოადგენდა, რომელსაც მკაფიო თეოლოგიური პრო-


გრამა ედო საფუძვლად.

საქართველოს ფიგურულ რელიეფებინი ქვასვეტების უმეტესობა VI საუკუნესა და VII საუკუნის დასაწყისსაა შექმნილი. უფრო ადრეულ ხანას (V ს.) განეკუთვნება ორნამენტული და სიმბოლური რელიეფებით შემკული სვეტები. შედარებით გვიანდელი ეპოქებიდან ჩვენამდე მხოლოდ ცალკეულმა ნიმუშებმა მოაღწია. თუ გავითვალისწინებთ ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ ვითარებას, აღმოჩნდება, რომ ქართული ადრექრისტიანული ქვაჯვარების მეტი ნაწილი ეკუთვნის ე.ნ. „ერისმთავრობის“ ხანას, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ ძლიერდება ფეოდალთა ხელისუფლება, გამოიყოფა ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენა. ეს სოციალური მოვლენები განეკუთვნება VI საუკუნის II ნახევარს, როდესაც ინტენსიურად ხდებოდა ქვაჯვარების აღმართვა.

VI საუკუნის დასასრული – VII საუკუნის დასაწყისი ქართლის სპარსეთის ბატონობისაგან გათავისუფლების, ფეოდალიზმის მომდლავრების, ქართლის საერისმთავროს შექმნის ეპოქაა. ეს იყო ქვეყანაში ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვების, ქრისტიანული კულტურის აყვავების ხანა. ეს მდგომარეობა ნუმიზმატიკაშიც აისახა - სტეფანზ I-სა და სტეფანზ II-ის მონეტების რევერსზე გამარჯვებული ქრისტიანობის სიმბოლო - ჯვარი გაჩნდა.

ქვასვეტების რელიეფური პროგრამების შესწავლამ გამოავლინა ქართველ ოსტატთა მიდრეკილება გარკვეული მხატვრული სახეებისადმი, გარკვეული სიუჟეტებისადმი. ეს რელიეფები გვიჩვენებს, რომ VI საუკუნის II ნახევრისათვის საქართველოში არსებობდა უმთავრესი ქრისტიანული თემებისა და წმინდასახეების დიდი მრავალფეროვნება. სვეტების იკონოგრაფიული პროგრამები ქართველ ოსტატთა მხატვრულ-თეოლოგიური აზროვნების მაღალ დონეს ავლენს.

ადრექრისტიანულ საქართველოში მდიდარი საღვთისმეტყველო ლიტერატურა, ქართულ ენაზე თარგმნილი წმინდა წიგნები არსებობდა, ღვთისმსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა წმინდასახეთა დიდი მრავალფეროვნება.



სურ. 2. ხანდისის ქვასვეტი


ქვასვეტებზე რელიგიური იდეების განსახიერებისათვის მოქანდაკები დიდი ტაქტითა და ოსტატობით იყენებდნენ ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებს, სიმბოლურ სახეებს, ნაირგვარ ორნამენტულ მოტივებს. ყველაფერი ღრმად იყო გააზრებული და ქვასვეტების საერთო მხატვრულ-იდეულ კონცეფციასთან დაკავშირებული.

ბიბლიური თემებიდან ქართულ ქვასვეტებზე გვხვდება „დანიელი ლომების ხაროში“ – ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ერთი ყველაზე პოპულარულ სიუჟეტთაგანი, რომელმაც საქართველოში დიდი გავრცელება ჰპოვა (ზედა თმოგვის, უსანეთის ქვასვეტები, მარტვილის, თელოვანის, წირქოლის ეკლესიების რელიეფები, წებელდის კანკელი). ამ უძველეს რელიეფებზე დანიელი წარმოადგენს ხატს-ნიშანს, რომელიც ხსნის იდეას განასახიერებს და ქრისტეს აღდგომას მოასწავებს. ქართულ რელიეფებზე ამ სცენის უმოკლესი რედაქციაა მოცემული.

ქვაჯვარებზე გვხვდება აგრეთვე ღრმა

სიმბოლური აზრის შემცველი თემა „აბრაჰა-მის შენირულობა“ (მამულას, უსანეთის ქვასვეტები), რომელიც კაცობრიობის ხსნისათვის ქრისტეს სამსხვერპლოზე ასვლას ასახავდა. ძველი აღთქმის ეს სცენაც ქრისტეს მიწიერი ცხოვრების მოვლენათა წინასწარმეტყველებად აღიქმება.

ადრექრისტიანულ ხელოვნებაში (კატაკომბების მხატვრობა, სპილოს ძვლის რელიეფები, სარკოფაგები) ბიბლიური სახეები და სიუჟეტები მეტი დრამატულობის, ემოციურობისა და გამომსახველობითი ძალის მისაღწევად გამოიყენებოდა. ამას ღრმად გააზრებული მხატვრულ-თეოლოგიური ამოცანა განაპირობებდა. ადრეული ქართული რელიეფები გვიჩვენებს, რომ ასეთი პრაქტიკა უცხო არ იყო ჩვენი მოქანდაკეებისათვის, რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ რელიეფების იკონოგრაფიული პროგრამების შედგენის ოსტატობას და შემოქმედებითად უთავსებდნენ ერთმანეთს ძველი და ახალი აღთქმის თემებს. ამის კარგ მაგალითს



სურ. 3. ქვასვეტის ფრაგმენტი. ნაღვარევი

გვიჩვენებს მამულაანთ სოფლის ქვასვეტი, რომლის ოსტატს შემუშავებული აქვს რელიეფების საერთო დეკორაციული პროგრამა, რომლის მიხედვით სვეტის ერთი ნახაგი მთლიანად ეთმობა ღმრთისმშობლის თაყვანისცემას, მეორეზე კი ორი ბიბლიური სიუჟეტია გამოსახული: „ცოტნება“ და „აბრაჰამის შეწირულება“. ღმრთისმშობლის განდიდებისადმი მიძღვნილ ქვასვეტზე ამ თემების გამოსახვით ოსტატმა ერთმანეთს დაუბირისპირა ორი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული თემა – შეცოდება და ხსნა. ხეცონობადისა ცოტნების სცენაში ჯვარცმის წინაგანჭვრეტად, ევა კი ღმრთისმშობლის ანტეტიპად არის გაგებული. შუა საუკუნეების მწერალთა თხზულებებში ხშირად ვხვდებით ამ ორი ფიგურის (ევა და ღმრთისმშობელი) დაპირისპირებას: ცოდვა და სინმინდე, უგუნურობა და სიბრძნე. ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც სხვა ქვასვეტების რელიეფურ კომპოზიციებში, საქმე გვაქვს არა საღვთო ისტორიის ამბების უბრალო თხრობასთან, არამედ მათ სიმბოლურ ინტერპრეტაციასთან, რაც ქართველ შემოქმედთა მაღალი მხატვრული და ინტელექტუალური დონის მაჩვენებელია. ადრექრისტიანულ საქართველოში, ისევე, როგორც მთელს ქრის-

ტიანულ სამყაროში, მხატვრები მიმართავდნენ ძველ აღთქმას თავისი „იკონოგრაფიულ ლექსიკონის“ გასამდიდრებლად.

დღეისათვის არსებული ქვაჯვარების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვასვეტებზე უპირატესად ქრისტეს ცხოვრების სცენები და უფლისა და ღმრთისმშობლის დიდების თემები გამოისახებოდა.

სახარების თემებიდან უპირველესად აღსანიშნავია „ხარების“ რელიეფური კომპოზიცია, რომელიც მხოლოდ ერთ ქვასვეტზე გვხვდება (საცხენისი). ასევე ერთადერთია შემონახული „შობის“ გამოსახულება (საცხენისი). ღმრთისმშობლის თაყვანისცემისადმია მიძღვნილი მამულას ქვასვეტის იკონოგრაფიული პროგრამა. მას სვეტის მთავარი ნახაგი აქვს დათმობილი. უკიდურესად პირობითი, სქემატური ხერხებით ოსტატი ქმნის „ორმაგი თაყვანისცემის“ (მწყემსებისა და მოგვების) ორიგინალურ კომპოზიციას.

„ნათლისლება“ შედარებით ხშირად გვხვდება ქართულ რელიეფებზე (ბრდაძორის, ბერიჯვრის, უსანეთის, განთიადის ქვასვეტები, უალეთის სანათლავი, ნაბელდის ფილა). ქვასვეტებზე „ნათლისლების“ კომპოზიციები სხ-



ვადასხვაგვარია: ნათლისძება იორდანესა და სანათლავმი, ორფიგურიანი კომპოზიცია და სცენა ანგელოზის თანხლებით. საერთოდ კი ქართულ რელიეფებზე ეს სიუჟეტი განსხვავებული რედაქციებითაა წარმოდგენილი. ოსტატები სახარების ამ თემის იმ ვარიანტს ირჩევდნენ, რომელიც მათ კონკრეტულ მხატვრულ-იდეურ ამოცანას პასუხობდა.

„იერუსალიმში შესვლა“ მხოლოდ ერთ ქვას-ვეტზეა შემორჩენილი (უსანეთი). „ნათლისღების“ სცენის ზემოთ განლაგებული ეს კომპოზიცია ხაზს უსვამს თეოფანიის იდეისა და ქრისტეს ტრიუმფის ერთობას.

„ჯვარცმა“ გამოსახულია საცხენისისა და ბერიჯვრის ქვასვეტებზე. ორივეგან სახარების დრამატული ამბავი გადმოცემულია არაისტორიული, შემცირებული რედაქციით. ქართველი ოსტატები ირჩევდნენ ჯვარცმის აღმოსავლურ, სირიულ ვერსიას (წვეროსანი ქრისტე ორ ჯვარცმულ ავაზაკს შორის), რომელიც გავრცელებულია სირიულ-პალესტინურ ბრინჯაოს საცეცხლურებზე, წმინდა მინის ამპულებზე, აღმოსავლური წარმომავლობის ლიტურგიკულ ნივთებზე.

ქართულ ქვასვეტებზე რამდენიმე სასწაულია გამოსახული: წმ. ევსტათეს სასწაულებრივი ნადირობა ირემზე (ნათლისმცემელი) და ქრისტეს ორი სასწაული – ბრმისა და განრღვეულის განკურნება (ბრდაძორი). ეს სცენები მშვენივრადაა ჩართული რელიეფური პროგრამების საერთო კონტექსტში და დამატებითი აზრით ავსებს მთლიანი რელიეფური კომპოზიციის იდეურ საფუძველს.


ქვასვეტების იყონოგრაფიული პროგრამების დაგვირგვინებაა „ქრისტეს ამაღლების“ კომპოზიცია. იგი რამდენიმეჯერ გვხვდება ქართულ ქვასვეტებზე (ხანდისი, ბრდაძორი, ნაღვარევი). დავათის ქვასვეტზე, რომლის ზედა ნაწილი ჩამოტეხილია, დარჩენილ ნაწილზე ამაღლების ანგელოზებია გამოსახული, რაც გვაფიქრებინებს სვეტის ზედა ნაწილში ამაღლების სიუჟეტის არსებობას. ამას უნდა დაემატოს დიდი გომარეთის ქვასვეტები, რომელთა ძალზე დაზიანებულ კაპიტელების წახნაგებზე მფრინავი ანგელოზების ფიგურებია შემონახული, რაც საფუძველს გვაძლევს კაპიტელის საფასადო მხარეს უფლის ხატის არსებობა ვი-

ვარაუდოთ. ე.ი. აქაც კაპიტელის სამწახაგზე უფლის ამაღლების ერთიანი კომპოზიცია უნდა ყოფილიყო გამოსახული.

ქვასვეტებზე დაგვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ძველი ქართველი ოსტატები მკაცრად იცავდნენ სულიერი იერარქიის წესს. ამასთანავე, ისინი ითვალისწინებდნენ წმინდა ისტორიის მოვლენათა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას და ანანილებდნენ სახარების თემებს ქვასვეტების ვერტიკალურ სირტყეებზე ზუსტი სქემით, ქვემოდან ზევით. ამ პრინციპით „ქრისტეს ამაღლების“ კომპოზიცია ზედა რეგისტრში, „ზეციურ სფეროში“ თავსდებოდა.

ბრდაძორის ქვასვეტის კაპიტელზე, იმავე უმაღლეს რეგისტრში განლაგებულია „ღმრთისმშობლის სულის ამაღლების“ ორიგინალური კომპოზიცია: ღმრთისმშობლის სული (შესუდრული ფიგურა) ზეცად აჰყავს ორ ანგელოზს. ოსტატმა „ღმრთისმშობლის მიძინების“ მრავალფიგურიანი კომპოზიციიდან აღებულ ღმრთისმშობლის სულის გამოსახულებას რამდენიმე დეტალი დაუმატა, რომლებმაც ამ თემას დამატებითი აზრი შესძინა. ესენია – საყვირი ერთ-ერთი ანგელოზის ხელში და დიდი ზომის საცეცხლური ცენტრალური ფიგურის ზემოთ. საყვირიანი ანგელოზი მეორედ მოსვლის ესქატოლოგიური თემის უცილობელი ნიშანია, საცეცხლური კი ერთი მხრივ, ღმრთისმშობლის მიძინების სცენის აუცილებელი დეტალია (იგი ხან წმ. პეტრე მოციქულს უცყრია ხელთ, ხან წმ. ანდრია მოციქულს), მეორე მხრივ კი, საცეცხლურს მნიშვლოვანი დატვირთვა აქვს მინიჭებული იოანეს გამოცხადებაში მეორედ მოსვლის ჟამს. ამგვარად, ბრდაძორის რელიეფების ოსტატმა ერთ მარტივ, განზოგადებულ კომპოზიციაში ღმრთისმშობლის სულის ამაღლების თემას ორიგინალურად დაუკავშირა მეორედ მოსვლის იდეა. ამ კომპოზიციას ანალოგი არ მოეპოვება თანადროული ხელოვნების ძეგლებში, რაც ქართველი ოსტატის მიერ რელიეფიური თემების შემოქმედებით გააზრებაზე მიუთითებს.

ქვაჯვარების სვეტების რელიეფებზე ხშირად გვხვდება ღმრთისმშობლის სახე, რაც ამ საკულტო ძეგლების ვოტივურ-სალოცავი ხასიათითაა გაპირობებულია. ამას სვეტებზე შემორჩენილი წარწერებიც ადასტურებს, რომლებიც ვედრებითა და შენევნის თხოვნით ღმრთისმშობლი-



სურ. 4. ქვასვეტის ფრაგმენტი. ნათლისმცემელი

სადმია მიმართული (იხ. წარწერები პანტიანის, უდეს, აბასთუმნის და სხვა ქვასვეტებზე).

ქვასვეტებზე ღმრთისმშობლის ორი ტიპია წარმოდგენილი: ტახტზე დაბრძანებული ღმრთისმშობელი ყრმით და ფეხზე მდგომარე დედალვთისა, ქრისტეს ბიუსტით გულმკერდთან. პირველ ტიპს მიეკუთვნება ხანდისის, ბოლნისის, ბრდაძორის, განთიადის, მამულას ქვასვეტის რელიეფური ხატები, მეორეს – ქვასვეტის ორი ფრაგმენტი სოფ. დავათიდან.

კომპოზიციური წყობითა და მხატვრული მიდგომით ქვასვეტების ღმრთისმშობლის ზოგიერთი რელიეფური ხატი ერთმანეთთან გარკვეულ სიახლოეს ამჟღავნებს (მაგ. ხანდისისა და ბოლნისის ქვასვეტების ხატები). იმავდროულად, ეს გამოსახულებები დაკავშირებულია VI ს. პალესტინური ამპულებისა და კოპტური რელიეფების ღმრთისმშობლის გამოსახულებებთან. ქართველი ოსტატები ადრექრისტიანულ ხანაში პოპულარულ და მათთვის კარგად ცნობილ ღმრთისმშობლის ტიპს გამო-

სახავდნენ, რომელიც გავრცელებული იყო სპილოს ძვლის ბიზანტიურ წაკეთობებზე, ოქროს მედალიონებზე, სხვადასხვა საკულტო ნივთზე და მოზაიკებზე. მხატვრული კონცეპციის ერთიანობის მიუხედავად, ყოველ რელიეფში მხატვრის ინდივიდუალური მიდგომა შეინიშნება.

ტახტზე დაბრძანებული ღმრთისმშობლის განსხვავებული ტიპია წარმოდგენილი სოფ. განთიადთან (დმანისის რ-ნი) აღმოჩენილ ქვასვეტზე. დედალვთისა სვეტის კაპიტელის საფასადო მხარესაა გამოსახული. ღმრთისმშობლის ფიგურის გადმოცემაში თავს იჩენს ისეთი მხატვრული ხერხები, რომლებიც VI საუკუნის დასარულის ქვასვეტების ანალოგიურ რელიეფურ სახეებთან სიახლოეს ავლენს. ვგულისხმობ მკაცრად განხონასწორებულ ფრონტალურ კომპოზიციას, ფიგურის აგების ზუსტად გათვლილ სქემას, სიბრტყებრივი რელიეფის პლასტიკური დამუშავების ხასიათს. ამავე დროს, დმანისის ქვასვეტის ღმრთისმშობელს მთელი რიგი თავისებურება ახასიათებს: დედალვთისა უშარავან-

დოდაა გამოსახული, უცნაურად გამოიყერება ყრმა იქსოს პოზა, ღმრთისმშობლი განსხვავებული ფორმის უზურგო ტახტზეა დაბრძანებული, რომლის დამუშავებაში ჩანს როგორც ქართული ხალხური ავეჯისათვის დამახასიათებული ორნამენტული სამკაული, ასევე ირანული სამეფო გამოსახულებებში ტახტის შემკობაში გამოყენებული ზომომრთული დეტალები.

ყრმა იქსოს პოზასთან დაკავშირებით უნდა მივმართოთ VI-VII საუკუნეების კოპტურ რელიეფებსა და ფრესკებზე გავრცელებულ ღმრთისმშობლის ტიპს – გალაქტოტროფუსას, რომელიც მხოლოდ ეგვიპტელ ქრისტიანებთან გვხვდება. დედაღვთისას ეს იკონოგრაფიული ტიპი, რომელსაც მკვლევრები ისიდას უველეს ადგილობრივ კულტს უკავშირებენ, ტახტზე დაბრძანებულ ღმრთისმშობელს წარმოადგენს, რომელიც ძუძუს ანოვებს მის მუხლებზე მოკალათებულ ჩვილ იქსოს. ადრეულ კოპტურ კონტექსტში ღმრთისმშობელი-გალაქტოტროფუსა ევქარისტიის მეტაფორად აღიქმებოდა. თუ გავითვალისწინებთ V-VI საუკუნეების საქართველოს ინტენსიურ კულტურულ ურთიერთობებს მის გარემომცველ ქრისტიანულ სამყაროსთან, ქართული კულტურის ცენტრების არსებობას წმინდა მინაზე, ეგვიპტეში, კვიპროსზე, სინაზე და სხვ., არ შეიძლება გამოირიცხოს ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა კონტაქტები კოპტურ სამყაროსთან. ამგვარი კავშირები ლიტერატურული მონაცემებით დასტურდება, რასაც შეიძლება დაემატოს ადრეული შუა საუკუნეების ქართული რელიეფების ის მხატვრული და იკონოგრაფიული ნიშნებიც, რომლებიც გასაგები ხდება სწორედ კოპტური პლასტიკის ძეგლების გათვალისწინებით.

განცალკევებით დგას ყრმიანი ღმრთისმშობლის ორი იდენტური რელიეფური სახე დავათოდან. დედაღმრთისა ფეხზე მდგომარე, მთელი ტანითაა გამოსახული. მკერდთან მას ყრმა ქრისტეს წელზევითი გამოსახულება უკავია. იქსო ჯვრული შარავანდითაა შემკული, ორივე ხელით მას კოდექსი უკავია. დავათში აღმოჩენილი ღმრთისმშობლის ორივე რელიეფურ ხატს იმდენად ბევრი რამ აქვს საერთო კომპოზიციის აგებულებაში, დეტალებში, დამუშავების ხასიათში, რომ ცხადია – საქმე გვაქვს ერთი სახელოსნოს, ან შესაძლოა, ერთი მოქანდაკის

ნამუშევართან. ორივე რელიეფი ერთი ზელნერითაა აღბეჭდილი. დავათის ეკლესიის მიდამოებში ღმრთისმშობლის ორი სრულიად ერთნაირი რელიეფური ხატის აღმოჩენა საქართველოს ამ კუთხეში ქვაჯვარების სახელოსნოს, ან სახელოსნოების არსებობაზე მეტყველებს. ამის დასტურია აგრეთვე ქვასვეტების ფრაგმენტებისა და დაუმთავრებელ რელიეფების მთელი ჯგუფის აღმოჩენა.

დავათის ღმრთისმშობლის ხატში ორი დეტალი იპყრობს ყურადღებას: იგი უშარავანდოდა გამოსახული და მის თავთან, ქართულ ხელოვნების ქმნილებებში გავრცელებული ეპითეტის – „ღმრთისმშობელი“ ან „დედა ღმრთისა“-ს ნაცვლად ვკითხულობთ დაქარაგმებულ წარნერას „წმინდაი მარიამ“. ღმრთისმშობლის სხვადასხვა ეპითეტში განსხვავებული დოგმატური ელფერია ასახული. „წმინდა მარიამ“ – „აგია მარია“ მონოფიზიტური კოპტური სამყაროდან წარმოდგება. საქართველოში გავრცელებული ფორმა „ღმრთისმშობელი“ („თეოტოკოს“) აღმოსავლურქრისტიანულ სამყაროში მიღებული ორთოდოქსული ეპითეტი იყო (ანტიოქიურ ტექსტებში იგი IV საუკუნიდან გვხვდება). ეს ეპითეტი დამკვიდრდა ეფესოს საეკლესიო კრების შემდეგ (431 წ.). დავათის სვეტზე ღმრთისმშობლის უშარავანდობა და ეპითეტი „წმინდა მარიამ“ უნდა აიხსნას ძველი წიმუშების არსებობით, რომლებიც ქართველ ოსტატებს ჰქონდათ ხელთ. ეს წმინდა სახე სიახლოვეს ავლენს ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლურქრისტიანულ ბრინჯაოს სანაწილე ჯვრების გამოსახულებებთან, რომელთა ზურგის მხარეზე ფეხზე მდგომარე ღმრთისმშობლის გრაფიკული სახეა გამოსახული, მკერდის წინ ქრისტეს ნახევარფიგურით.

ადრექრისტიანული ქვაჯვარები თავისი შექმნის ეპოქის შესახებ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას შეიცავს. რელიგიურ სიუჟეტებთან და წმინდა სახეებთან ერთად ქართულ ქვასვეტებზე საერთო პერსონაჟებსაც ვხედავთ. ესენი ფეოდალური საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლებია, რომელთა ძალისხმევითაც აღიმართებოდა ქრისტიანული რწმენის ეს წიმანსვეტები. ქვასვეტების რელიეფურ პროგრამებში ჩართულია ქართველ დიდებულთა „პორტრეტები“, განზოგადებული სახეები იმ ფეო-

დალებისა, რომელთა შესახებაც მოგვითხრობს ძელი ქართული მატიანე: „...ეპყრათ უფლება ქართლისა აზნაურთა“. უძველესი ქვაჯვარები საქართველოს ფეოდალური წრეების სოციალური, რელიგიური და კულტურული აქტივობის იშვიათი ნიმუშებია. წარჩინებული ქართველნი რელიეფურ ქვაჯვარებს აღმართავდნენ არა მხოლოდ როგორც ვოტივურ-სალოცავ ძეგლებს, არამედ როგორც თავისი სოციალური პრესტიუს, ფეოდალურ იერარქიაში მათი ადგილის დამკვიდრების ნიშნებს. ამ თვალსაზრისით ქვაჯვარათა მნიშვნელობა სცილდება მხოლოდ რელიგიურ სფეროს და ფართო სოციალურ უღერადობას იძენს.

საერო პირები, როგორც წესი, ცალკეული ფრონტალური, რეპრეზენტატული ფიგურების სახით არიან წარმოდგენილნი. ასეთი რელიეფური „პორტრეტები“ ამკობს დმანისის, ბოლნისის, ბრდაძორის, დავათის, კატაულას, ბალიჭისა და სხვ. ქვასვეტების წახნაგებს.

ქვასვეტების საერო პორტრეტები საქართველოს ისტორიის აქამდე უცნობ პიროვნებებს გვაცნობს. ზოგიერთ ქვასვეტზე დონატორთა გამოსახულებებს მათი სახელებიც ახლავს. ზოგჯერ შესაწირავ წარწერებში დიდებულთა წოდებებიცაა მოხსენებული: წრომის სტელაზე (VI-VII ს.) – „მამასახლისი გრიგოლ“, კატაულას სვეტზე (VII ს.) – „გრიგოლ ვიპატოსი“, აბასთაუმნის ჯვრის კვარცხლბეკზე (VII-VIII სს.) – „მამფალი არშუმა პატრიკიოსი“. ეს წარწერები ადრეული შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი საისტორიო საბუთებია, რომლებიც შეიცავს VI-VIII საუკუნეების საქართველოს ფეოდალური ტიტულების გარკვეულ რაოდენობას, როგორც ადგილობრივს (მამასახლისი), ასევე ბიზანტიურს (პატრიკიოსი, ვიპატოსი). თუ გავიხსენებთ მცხეთის ჯვრის ტაძრის მაშენებელ ერისმთავართა ტიტულებს (სტეფანოზ პატრიკიოსი, დემეტრე და ადრნერსე ვიპატოსები), აღმოჩნდება, რომ ქვაჯვარათა აღმართველებიც ფეოდალური იერარქიის მაღალი ფენების წარმომადგენლები იყვნენ. როგორც ჩანს, ქვაჯვარათა აღმართვა მათი პრივილეგია იყო, რითაც ისინი განამტკიცებდნენ თავის უპირატესობას ფეოდალურ საზოგადოებაში.

საერო პირთა გამოსახვა ქვაჯვარებზე, გარკვეული განსახვავებების მიუხედავად, ერ-

თიან მხატვრულ პრინციპს ექვემდებარება, ყველა ისინი ფრონტალურად არიან გამოსახულნი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დონატორები მუხლს იყრიან თავის მფარველ წმინდანთა, წმინდა პატრონთა წინაშე (იხ. წრომის სტელა, უსანეოთის ქვასვეტი). ადრეულ ქართულ რელიეფურ პორტრეტებში თავისებურად გამოვლინდა ეპოქის ესთეტიკური პრინციპებით გაპირობებული ადრებიზანტიური ხელოვნების მხატვრული სისტემის სტანდარტიზაცია. ქვასვეტების რელიეფუბზე მთავარია არა კონკრეტული ადამიანი, არამედ ტიპის, გამოსახული პერსონაჟის სოციალური სტატუსის ჩვენება. ადამიანი მოიაზრებოდა, როგორც „ხატი“, „სქემა“, „ფიგურა“, მოკლებული ყოველივე შემთხვევითსა და წარმავალს.

განცალკევებულად დგას ამ თვალსაზრისით კატაულას ქვასვეტი, რომლის მთავარი წახნაგის ქვედა ნაწილში ორნამენტულად დამუშავებული დიდი ჯვარია მაღალ ბუნებე. მის გვერდებზე ორი პატარა ფიგურაა (მარიამი, იოანე?). კომპოზიცია სიმბოლურად გოლგოთის ჯვრის ძლიერებას განადიდებს. ჯვრის ზემოთ მოციქულთა წყვილებია კოდექსებით ხელში. ჯვრის თაყვანისცემის თემა ხაზს უსვამს ამ წმინდა რელიქვის განდიდების იდეას. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთ წახნაგზე შემორჩენილი წარწერის ფრაგმენტი: „ჯუარო პატიოსანო...“ საერო პირთა თაყვანისცემის უესტები ვედრების, ლოცვის ფორმულას გამოხატავს, რაც სავსებით შეესაბამება ადრეული ქრისტიანობის პირობით-სიმბოლურ მეტყველებას.

ქვასვეტის გვერდითი წახნაგები მთლიანად საერო პირთა პორტრეტებს ეთმობა. მარცხენა წახნაგზე მამაკაცთა პორტრეტებია ერთმანეთის თავზე განლაგებული, მარჯვენაზე – ქალთა. ყველა ფიგურას ასომთავრული წარწერა ახლავს. რელიეფის ზედაპირი დაზიანებულია, რის გამოც სარმატულ მხოლოდ ზოგიერთი სახელი იკითხება („ვიპატოსი გრიგოლ“, „მხევალი მარიამ“, „ესაკ“. როგორც ჩანს, კატაულას ქვასვეტზე VII საუკუნის ქართული ფეოდალური საზოგადოების ერთი პატარა უჯრედია გამოსახული, თავისებური „გენეალოგიური ხე“, რომელზეც საგვარეულოს ყველა ნევრს მისი სოციალური მდგომარეობის შესაფერი ადგილი აქვს მიჩენილი. ამასთანავე, ქვასვეტი უმდიდრეს ინფორ-



სურ. 5. ბრდაძორის ქვასვეტი

მაციას გვაწვდის ქართული ისტორიული კოსტიუმის შესახებ, რომლის ნაირსახეობებია წარმოდგენილი ამ მრავალფიგურიან პორტრეტულ გალერეაში.

კატაულას ქვასვეტი მრავალმხრივი ინფორმაციის წყაროა: საგარეო ურთიერთობათა საკითხი (პიზანტიური ტიტული „ვიპატოსი“), ქართული ეროვნული კოსტიუმის მასალები, ხელოვანთა როლი ქვეყანაში (ვაზის ორნამენტით დაფარულ ზურგის მხარეზე ჩართულია ოსტატის გამოსახულება მოქანდაკის ხელსაწყოთი ხელში – ქართველი ხელოვანის ერთ-ერთი უძველესი გამოსახულება).

ქვაჯვარების რელიეფურ პროგრამებზე დაკვირვებამ მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვასვეტების წახნაგები გაიაზრებოდა, როგორც ერთიანი არ საღმრთო ისტორიის მოვლენებისა და ქრისტიანული დოგმების გამოსახვისათვის, სხვადასხვა წახნაგებზე განთავსებული გამოსახულებები ერთ მწყობრ კომპოზიციად წარმოგვიდგება, რომელშიც ყოველი წანილი საერთო კონტექსტში უნდა განიხილებოდეს.

ქვასვეტის იკონოგრაფიული კომპოზიციის საინტერესო ნიმუშს გვთავაზობს ხანდისის ქვასვეტი (VI ს. II წახ.), რომელიც გარკვეულ მინიშნებებს გვაძლევს ქართული რელიეფების იკონოგრაფიის წყაროებზე. სვეტის საფასადო მხარეზე ორი რელიეფური ხატია: ზემოთ – ქრისტე ტახტზე, ქვემოთ ყრმიანი ღმრთისმშობელი ტახტზე. ეს ორი დამოუკიდებელი ხატი რთული იკონოგრაფიული კომპოზიციის ცენტრალური წანილია, რომელიც სვეტის დანარჩენი წახნაგების გამოსახულებებსაც მოიცავს.

გვერდით წახნაგის ზედა რეგისტრში გამოსახული ანგელოზი ქრისტეს გამოსახულებას ემიჯნება და მასთან აზრობრივიდაა დაკავშირებული. იგი არა მხოლოდ უფლის ამაღლების სიუჟეტის მონაწილეა, არამედ საფასადო მხარეზე გამოსახული ღმრთისმშობლის განდიდების სიმბოლური კომპოზიციის წანილი. მოქანდაკემ მხტარულად და იდეურად შეათავსა ქრისტიანობის ორი მნიშვნელოვანი თემის შეკვეცილი რედაქციები.


ამ ორი სცენის ამგვარი შეთავსება გვხვდება VI საუკუნის კოპტურ ხელოვნებაში (პაუიტისა და

საქარას ფრესკები). ზედა რეგისტრის მაცხოვრის ამაღლების თემას უკავშირდება მის ქვემოთ ტახტზე დაბრძანებული ყრმიანი ღმრთისმშობლის სახე, რომელიც ჩაენაცვლა მოციქულთა შორის გამოსახულ ღმრთისმშობელს. ხანდისის აღნიშნული კომპოზიციის გასაგებად საინტერესო მასალას გვაწვდის ეგვიპტური წარმომავლობის ღმრთისმშობლის დიდების ქსოვილის ხატი კლივლენდის მუზეუმიდან, სადაც ორიარუსიან კომპოზიციაში შეთავსებულია ქრისტეს თეოფანიური ხილვისა და ღმრთისმშობლის დიდების თემები. სწორედ ამგვარი კომპოზიციური პრინციპია გამოყენებული ხანდისის სვეტზე (ამ ორი თემის ასეთივე შეთავსებაა ბრდაძორის ქვასვეტზე).

ქართული ქვასვეტების რელიეფური პროგრამები იკონოგრაფიული სქემების მეტად მნიშვნელოვან მაგალითებს გვთავაზობს. პროგრამების მხატვრულ-იდეური სირთულისა და გააზრებულობის წარმოსადგენად საკმარისია ნებისმიერი ქვასვეტის რელიეფებს მივმართოთ. ბრდაძორის ქვაჯვარასაგან ჩვენამდე მოაღწია ოთხნახნაგა მონოლითურმა ქვასვეტმა, რომელიც მონოლითშივე გამოკვეთილი კაპიტელითაა დაგვირგვინებული. ამ თავისებური კაპიტელის ზედა სიბრტყეში ღრმა კვადრატული ბუდეა ამოკვეთილი სკულპტურული ჯვრის დასამაგრებლად. ქვასვეტის ორი წახნაგი (დას. და სამხრ.) ფიგურული რელიეფებითაა შემკული, მესამე (ჩრდ.) მცენარეული ორნამენტითაა დაფარული, მეოთხე – გლუვია.

სვეტის რელიეფური პროგრამა წათელ და მკაფიო სქემას ეფუძნება. რელიეფური სცენები (ორ და სამფიგურიანი) მკაცრ სიმეტრიას ემორჩილება და იმავდროულად ორ და სამფიგურიანი კომპოზიციების განთავსებაში გარკვეული რიტმული მონაცვლეობაა გამოყენებული. წარმოსახვითი სიმეტრიას ღერძი გამჭოლად გაიკლის წახნაგების რელიეფურ კომპოზიციებს. კომპოზიციები მკაცრად ფრონტალურია, ყოველი გამოსახულება იერატული, გაშეშებული. ფართოდ გახელილი დიდი თვალების მზერა მაყურებელზეა ფოკუსირებული. იგი გიზიდავთ, გიპყრობთ თავისი გამოუცნობი ზეადამიანური ძალით.

საფასადო წახნაგის ქვედა წანილში სიმბოლურ-ორნამენტული კომპოზიციაა – წახე-



სურ. 6. დავათის ქვასვეტი

ვარმთვარის ფორმის რკალზე დაყრდნობილი ტოლმკლავა ჯვარი. ეს სიმბოლური თემა, შესაძლოა, წარმოადგენს განედლებული ჯვრის, ან სასანური სამეფო ბაფთებიანი ჯვრის მოტივის თავისებურ ვარიაციას. თავისი თეოლოგიური არსით ეს არის სვეტის ამ წახნაგის პლასტიკური კონსტრუქციის ქვაკუთხედი.

ქვემოდან ზევით ამ წახნაგზე სიუჟეტები შემდეგნაირადაა განაწილებული: ნათლისძება, ნმ. ელისეს სასწაული – სირიელი მხედართმთავრის წევმანის განკურნება (წევმანის სასწაულებრივი განკურნება მდინარე იორდანეში წათლისძების წინასწარგანჭვრეტად აღიქმებოდა) და შემდეგ ქრისტეს ორი სასწაული: „განრღვეულის განკურნება“ და „პრმის თუალთა აღხილვა“. წახნაგის დამაგვირგვინებელია ყრმიანი ღმრთისმშობლის გამოსახულება „წინაშე მდგომელებთან“ ერთად. ბრდაძორის ქვასვეტის ეს მრავლისმეტყველი კომპოზიცია მნიშვნელოვანია ადრეული ქრისტიანობის მარიოლოგიურ სახეთა საერთო კონტექსტში. იგი წარმოდგება იმ იკონოგრაფიული სქემების ორიგინალურ გადამუშავებად, რომლებიც შეიცავდა თაყვანსაცემ სახესა და დონატორთა გამოსახულებებს. ამის მაგალითები გვაქვს რო-

გორც ბიზანტიურ მონუმენტურ ხელოვნებაში (პირების ბაზილიკის ცენტრალური აბსიდის მოზაიკა, VI ს.; თესალონიკის წმ. დემეტრეს ბაზილიკის მოზაიკა, VI ს.), ასევე საქართველოში (მცხეთის ჯვრის აღმ. ფასადის კტიტორული პორტრები).

სვეტის იკონოგრაფიული პროგრამის კულ-მინაცია კაპიტელის რელიეფები: საფასადო მხარეზე – ქრისტეს ამაღლების თავისებური კომპოზიცია, რომელშიც აქცენტი გაკეთებულია მკაცრ ფრონტალობასა და სიმეტრიაზე აგებული „ხატის“ პრინციპზე და სადაც ოსტატი პლასტიკური სახის მონუმენტალიზაციის გზით მიდის. მის მომიჯნავე მხარეს – „ღმრთისმშობლის სულის ამაღლების“ კომპოზიციაა. კაპიტელის მესამე წახნაგის იონამენტული დეკორი სტილიზებული ჯვრისა და მასთან დაკავშირებულ დიაგონალურად განლაგებულ ვიწრო ფურცლებისაგან შედგება. თავისი ფორმით ჯვარი კოპტურ ჯვარს მოგვაგონებს, რომლის ზედა წანილში ეგვიპტური იეროგლიფის „ანკრის“ მოხაზულობა იკითხება. სვეტის ჩრდილოეთ წახნაგს მთლიანად ეფინება დახვეწილი ფორმის წახევარფოთლების ორნამენტი, რომელსაც ანალოგიები VI საუკუნის II წახევრის ქვასვეტებ-

სა (დავათი, წვერო დაბალი, საცხენისი, დმანისი და სხვ.) და მცხეთის ჯვრის სამხრ. ფასადის ჯვრის ამაღლების კომპოზიციის მცენარეულ მოტივში მოქედებება.

ფიგურულ და სიმბოლურ გამოსახულებათა ერთიან სტილისტურ ტონალობაში გადაწყვეტა, რელიგიურ და საერო პერსონაჟთა თანაფარ-დობის დაცვა, თემების განაწილებაში ვერტიკა-ლური იერარქიის პრინციპის გამოყენება, კულ-მინაციურ მომენტთა ოსტატური ხაზგასმა – ადრეული შუა საუკუნეების ქართველ ოსტატთა ეს თვისებები თვალნათლივ ჩანს ბრძაძორის ქვასვეტში.

შედარებით კარგად შემონახულ ქვასვეტთა შორის აღსანიშნავია დმანისის რ-ნის სოფ. განთიადთან აღმოჩენილი VI ს-ის II ნახევრის ქვასვეტი, რომლის რელიეფები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ არა მხოლოდ ქვასვეტის საერთო რელიეფურ პროგრამაზე, არამედ დეკორის მხატვრულ-სტილურ თავისებურებებზე. წითელი ტუფის ოთხნახაგა სვეტი ამავე ბლოკში გამოკვეთილი კაპიტელითაა დაგვირგვინებული.


საკუთრივ სვეტის წახნაგებიდან ფიგურული რელიეფებით მხოლოდ მთავარი, საფასადო მხარეა შემკული. გვერდით წახნაგებს მცენარეული ორნამენტი ფარავს, ზურგის მხარე გლუვია. მთავარ წახნაგზე სამი ორფიგურიანი კომპოზიციაა განთავსებული. ქვედა ორი ფიგურა ჩაცმულობის ხასიათით, ატრიბუტებითა და ადრექტისტიანული ხელოვნების ქმნილებებზე (ვერცხლის ჯვრები, სანაწილეები) წმინდანთა შერჩევის პრინციპების გათვალისწინებით, წმინდა მეურნალთა, „უვერცხლოთა“, კოზმან და დამიანეს გამოსახულებებად შეიძლება მივიჩნიოთ. ზედა ორფიგურიანი კომპოზიციის დაზიანების გამო მისი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. სვეტის ზედა რეგისტრში ნათლისძების ორფიგურიანი სცენაა გამოსახული. ნათლისძების ასეთი ლაკონური ვერსია ქვასვეტების რელიეფებისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ დმანელი ოსტატი თავის ლაკონიზმში სხვა სვეტების ოსტატებთან შედარებით უფრო შორს მიდის: არ არის მინიშნებული ნათლისძების ადგილი (მდ. იორდანე ან სანათლავი), არ არის გამოსახული მტრედი – სული წმინდა, ქრისტე უშარავანდოა, არ არის არანაირი მითითება მოვლენის ზეციურ

მნიშვნელობაზე (ვარსკვლავი ან ჯვარი). ოსტატი აბსტრაგირების გზით მიდის, მისდან „ნათლისძება“ უმარტივეს ფორმულაზე დაყვანილი სიმბოლური სახეა.

განსხვავებულია დმანისის „ნათლისძების“ ადგილი სვეტის ერთიან იკონოგრაფიულ პროგრამაში. როდესაც ნათლისძება სხვა სიუჟეტებთან ერთადაა შესული ქვასვეტის იკონოგრაფიულ პროგრამაში, სახარების მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შესაბამისად, იგი ქვედა რეგისტრშია განთავსებული. დმანისის ქვასვეტზე კი ეს ერთადერთი სიუჟეტური კომპოზიციაა და მისი საფასადო მხარის ყველაზე მაღალ რეგისტრში განთავსებით ოსტატმა ხაზი გაუსვა მის განსაკუთრებულობას სვეტის რელიეფურ დეკორში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქვაჯვარას, გარდა მისი ვოტივურ-სალოცავი დანიშნულებისა, ჰქონდა კიდევ ერთი, საზოგადოებრივი ფუნქცია. იგი წარმოადგენდა მისი აღმმართველი ქართლის დიდებულის ქრისტიანული აღმსარებლობისადმი მიკუთვნების სიმბოლოს.

განსაკუთებულია დმანისის ქვასვეტის კაპიტელის რელიეფური დეკორიც. მისი ოთხივე მხარე ფიგურული რელიეფებითაა დაფარული. პირით მხარეზე გამოსახულია ტახტზე დაბრძანებული ყრმიანი ღმრთისმშობელი, მის მომიჯნავე მარჯვენა წახნაგზე მამაკაცთა ორი ფრონტალური ფიგურაა. კაპიტელის მეორე გვერდით წახნაგზე ღმრთის სტილიზებული გამოსახულებაა, ზურგის მხარეზე – ფარშევანგის რელიეფური სახე.

კაპიტელის გვერდით, ღმრთისმშობლის გამოსახულების მომიჯნავე წახნაგზე მამაკაცთა წყვილი, ქვაჯვარას აღმმართველებია წარმოდგენილი. ისინი განსხვავებული თარგის საერო სამოსელში არიან გამოწყობილნი. მარცხენა მამაკაცის ჩაცმულობა ოფიციალურ ბიზანტიურ კოსტიუმთან ავლენს სიახლოეს, რაც არ არის უცხო ადრეული ქართული რელიეფებისათვის (იხ. სამწევრისის სტელა ჯვრის თაყვანისცემის სცენით, V-VI საუკუნეთა მიჯნა), მეორეს ტიპური „კავკასიური“ მხედრული სამოსი აცვია (იხ. ქვემო ქართლის რეგიონიდან ბოლნისისა და დმანისის რაიონების ქვასვეტების რელიეფებზე მამაკაცთა ჩაცმულობა). ერთ მათგანს




სურ. 7. ქვასვეტის ფრაგმენტი. საცხენისი

ზეალმართულ მარჯვენა ხელში ჯვარი უპყრია, მეორეს – ყვავილი.

ზუსტად რეგლამენტირებულ ადრექტისტიანულ ხელოვნებაში იკონოგრაფიული პროგრამის ყოველი დეტალი ღრმა აზრისა და მნიშვნელობის შემცველია. საერთო პირთა განთავსება სვეტის უმაღლეს რეგისტრში ღმრთისმშობლის გვერდით იმავე რანგის მოვლენაა, რაც ბრძაძორის ქვასვეტზე დედალვთისას გვერდით ქართლის დიდებულის გამოსახვა. მამაკაცთა წყვილი უთუოდ ერთი ფეოდალური საგვარულოს წარმომადგენლებია (იხ. კატაულას ქვასვეტის „ჯვუფური“ პორტრეტი). ისინი დიფერენცირებულნი არიან ჩაცმულობითა და ატრიბუტებით. სამოსლის განსხვავებული ხასიათი და სხვადასხვა ატრიბუტი, უთუოდ, მათ სხვადასხვაგვარ სტატუსს აღნიშნავს. მათ განლაგებაშიც გარკვეული გრადაციაა. საფასადო მხარეს უშუალოდ ემიჯნება ზომით გამორჩეული ჯვრიანი მამაკაცი ბიზანტიური ტიპის კოსტიუმში. იგი სოციალურად უფრო გამორჩეული უნდა იყოს. ჯვარი მის ხელში, შესაძლოა, მივიჩნიოთ მისი გარდაცვალების ნიშნად (VI-VII სს. კოპტურ სტელებზე გარდაცვლილებს ჯვრით ხელში გამოსახავდნენ). ინსიგნია-ყვავილი „კავკასიური“ კოსტიუმით მოსილი მამაკაცის ხელში კი მის გარკვეულ სამოხელეო ლირსებას უნდა აღნიშნავდეს.

კაპიტელის დანარჩენ ორ წახნაგზე გამოსახული ლომი და ფარშევანგი, უძველესი ეპოქებიდან წარმომავალი სიმბოლოები, ადრექტისტიანულ ხანაში ახალ ულერადობას იძენს. ქრისტიანულ ხელოვნებაში ფარშევანგი აღდგომის სიმბოლოდაა მიჩნეული. ამ ფრინველის გამოსახულებები გვხვდება ადრეულ ქართულ ქრისტიანულ რელიეფებზე (იხ. ბოლნისის სიონის სანათლავის კაპიტელის რელიეფი, დმანისის რ-ნში ე.წ. „წითელი ეკლესის“ აღმ. ფასადის კედლის წყობაში ჩატანებული ფარშევანგებიანი რელიეფი, ქვასვეტი ბოლნისიდან). შემთხვევითი არ არის, რომ ფარშევანგი მიბრუნებულია წყვილადი მამაკაცების წახნაგისაკენ, იგი სწორედ მათთან მიმართებაში უნდა მოიაზრებოდეს. კაპიტელის რელიეფებში ლომის გამოსახულებაც მისი განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობის სრული გათვალისწინებით არის ჩართული. ეს არის ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში შემონახული უძველესი სიმბოლოების სიცოცხლისუნარიანობისა და ახალ კონტექსტში მათი გააზრების კიდევ ერთი მაგალითი.

რთული და ღრმად გააზრებული იკონოგრაფიული პროგრამის მაგალითია უსანეთის ქვასვეტი (VIII-IX სს. მიჯნა), რომელიც სხვათა მსგავსად, ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. მის წახნაგებზე მკაფიოდ განსაზღვრული პრინციპით ძველი და ახალი აღთქმის თემები



სურ. 8. ქვავეარას სვეტი. განთიადი

და სიმბოლური გამოსახულებებია განთავსებული. ქვასვეტი, რომელიც სკულპტურული ჯვრის კვარცხლბეჭს წარმოადგენს, მთელი თავისი ხატოვანი კომპოზიციით ქრისტიანული რწმენის არსს განასახიერებს.

ქვასვეტის ოსტატის მთავარი სახვითი საშუალებაა ხაზი. გამქრალია სულ მცირედი მინიშნებაც კი მოცულობაზე, ყველაფერი მხოლოდ ხაზის დეკორატიულ მეტყველებას ემორჩილება. ფაქტობრივად, ეს არის ქვის გრაფიკა. აქ თითქოს ბატონობს ხეზე კვეთის ხალხური ხელოვნების მხატვრული მეტყველება. ასევე ხალხური ხელოვნების უძველესი ტრადიციიდან მომდინარეობს სამყაროს გულუბრყვილო-რეალისტური ხედვა, პირობითობა, სქემატიზაციის ორიგინალური ხერხები, რაც არ გამორიცხავს ამ მხატვრული საშუალებებით ქრისტიანული რწმენის ძირითადი იდეების კარგად გააზრებული იკონოგრაფიული პროგრამით გამოსახვას.

ქვასვეტზე ვხადავთ ქრისტიანობის ადრეული ეპოქის ადამიანთა წარმოდგენების

სირთულესა და თავისებურებას. აბსტრაქტული სიმბოლოები, ძველი და ახალი აღთქმის სცენები, ცალკეული ფიგურები ერთ რთულ კვანძადაა შეკრული. უფლის ათორმეტი დღე-სასწაულიდან არჩეულია ორი – წათლისღება და იერუსალიმში შესვლა. თეოფანიისა და ქრისტიანობის ტრიუმფის ეს ორი მეტყობი ფორმულა წარმოაჩენს სვეტის ფიგურული დეკორის აზრს. საპირისპირო მხარეს – ორი დიდი ჯვარი და „ისააკის მსხვერპლად შენირვის“ სცენა ჯვარცმის თემის თავისებური განსახიერებაა. ჩრდილოეთის წახნაგზე განთავსებული დანიელის სასწაული და მოციქულებისა და წმინდანების სახეები ბოროტებისგან ხსნილ სულს, ქრისტეს აღდგომას განასახიერებდა. მეოთხე მხარეს მთავარანგელოზთა სახეები და წმ. კვირიკეს წინაშე ვედრებით მუხლმოყრილი შემწირველის (წარწერით იგი წმინდანის თანამოსახელეა) გამოსახულებაა, რაც უთუოდ მთავარანგელოზებისა და წმინდა პატრონის მფარველობის იდეას ითვალისწინებდა.



ბიძლიური თემებისა და სომხოლური გამოსახულებების შერჩევასა და განაწილებაში გარკვეული რაოდენობრივი სიმბოლიკა და მხატვრული თანაფარდობაა გათვალისაწინებული: ორ-ორია ძველი და ახალი აღთქმის სცენები, ორია სამფიგურიანი ფრიზი, ორია ანგელოზი და ორია ერთნაირი ფორმის მონუმენტური ჯვარი, ერთადერთია დონატორის ვედრების კომპოზიცია, ერთია გოლგოთის ვოტივური ჯვარი.

მხატვრული ალლო და გააზრებული სისტემა ჩანს სცენების მასშტაბურ შეფარდებებსა და მათ განაწილებაში სვეტის წახნაგებზე. უსანეთის ოსტატი, ძველი მოზაიკის ოსტატების მსგავსად, სხვადასხვა ფორმატისა და კონფიგურაციის სცენების თავისუფალი განლაგებით ქვასვეტის გამომსახველ მხატვრულ სახეს ქმნის.

ქვასვეტების რელიეფთა ანალიზმა შესაძლებელი გახდა მიგვეკვლია იმ წყაროებისათვის, რომლებითაც სარგებლობდნენ ქვაჯვარების ოსტატები რელიეფური კომპოზიციების შექმნისას, გამოგვევლინა ის ნიმუშები, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობდნენ ქვაჯვარების იკონოგრაფიული პროგრამების შედგენისას. ამ ნიმუშებს შორისაა ქრისტიანობის აღმოსავლური ცენტრებიდან წარმომავალი საღვთისმსახურო ნივთები – ამპულები, საცეცხლურები, ჯვარხატები, ბიზანტიური სპილოს ძვლის წაკეთობები, ილუსტრირებული ხელნაწერები, სანაწილეები, გულსაკიდი ჯვრები და სხვ. ქრისტიანობის დიდი ცენტრებიდან შემოსული ნიმუშები ქართველ მოქანდაკეთა ხელში ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების ზეგავლენით გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიდა და ქვაჯვარების სვეტების წახნაგებზე ქვის ორიგინალურ ხატებად იქცეოდა.

საქართველოში, ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მსგავსად (მესოპოტამია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, პართული და სასანური ირანი), არსებობას განაგრძობდა ადგილობრივი მხატვრული ტრადიცია, რომელიც კარგად შეუთავსდა ქრისტიანობის მიერ დასმულ ახალ მხატვრულ ამოცანებს. ქვასვეტების რელიეფების ერთგვარად არქაული და იმავდროულად ნოვატორული ხასიათი სწორედ იმან განაპირობა, რომ ქრისტიანული ხელოვნების დაფუძნება მოხდა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის

მონაპოვრებით გაჯერებულ ნიადაგზე. ქვაჯვარების რელიეფები გვიჩვენებს პლასტიკური ხელოვნების იმ სტადიას, რომელზეც თავს იჩენს სიბრტყისა და ხაზის თავისებური კომპინაციებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება. ეს არის სახვითობისა და პირობითობის ზღვარზე მდგარი ხელოვნება, რომლის საწყისები უნდა ვეძიოთ არა მხოლოდ ეპოქის სულიერი წყობის განსაკუთრებულობაში, არამედ წინაქრისტიანული ხანის ადგილობრივ ხელოვნებაში.

ადრეული ქრისტიანობის ხანის ქართული რელიეფებისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი სტილური თავისებურება, რომელიც საერთოა მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნებისათვის: რელიეფის სიბრტყობრიობა, მაყურებლისკენ მობრუნებული ფიგურების მკაცრი ფრონტალურობა, ფორმების სქემატურობა, დარღვეული პროპორციები, სიუჟეტური კომპოზიციების ორნამენტულ-დეკორატიული გადაწყვეტა, ტრანსცენდენტურობა, ფიგურათა შორის აბსტრაქტული კავშირების არსებობა,

ქვასვეტებს, მთელი მათი ნაირგვარობის მიუხედავად, ბევრი რამ აქვთ საერთო: ყოველი კომპოზიცია უშუალოდ მაყურებლისაკანაა მიმართული, უშუალო კონტაქტს ამყარებს მასთან. უძველესი ქართული ქვასვეტების ქვის ხატებიდან გვიყურებენ ბიბლიური ისტორიის პერსონაჟები. დეფორმირებული პროპორციები, გაზვიადებული ნაკვთები, დიდი თვალების მომწუსხავი მზერა – ეს ხომ ის ნიშნებია, რომლებიც თვალსაჩინო იყო უკვე გვიანანტიკურ ქმნილებებში და რომლებიც შუა საუკუნეების ხელოვნების თავისებურ ხედვას მოასწავებდა.

ქართულ ქვასვეტა რელიეფები საკუთარ ორიგინალურ კანონებს დამორჩილებული ერთიანი სისტემაა. რელიეფების ოსტატები თავისებური პლასტიკური მეტყველებით გადმოსცემდნენ პირველ ქრისტიანთათვის ნაცნობდა და გასაგებ ცნებებს. ფიგურათა პირობითობა და გეომეტრიზმი, ზღვარის ნაშლა ფიგურულ გამოსახულებასა და ორნამენტს შორის ამ რელიეფებს უცნაურ გამომსახველობას ანიჭებს. ამგვარი ხერხებით ოსტატები გადმოსცემდნენ სულიერ საწყისს, ხაზს უსვამდნენ გამოსახულებათა სიღრმივ, სიმბოლურ მნიშვნელობას. წმინდა პერსონაჟთა ფართოდ გახელილ თვალებში




სურ. 9. კატაულას ქვასვეტი

შინაგანი დაძაბულობაა კონცენტრირებული.

ქვასვეტების ფიგურული რელიეფების ფრონტალობა, გარინდულობა და პირობითობა, მხოლოდ სტილის ცვალებადობით როდი იყო გამოწვეული. ამ პირობითობას ღრმა იდეური საფუძვლები ჰქონდა, ეს იყო ადრექრისტიანული ხელოვნების განსაკუთრებული კონცეფციის შედეგი. ფორმების სქემატიზაცია, უსტებისა და პოზების პირობითობა, პლასტიკურობის შეცვლა საზოვანი გამომსახველობით, დამახასიათებელი კუთხოვანი ნახატით, ორნამენტულ-დეკორატიული კომპოზიციების რიტმული აგებულება, სრული უძრაობა – ყველა ეს ნიშან-თვისება, რომელსაც ღრმა იდეური საფუძვლები ჰქონდა,

თავისი წარმოშობით აღმოსავლური სამყარო-დან მომდინარეობს, რომელშიც ქრისტიანი ოსტატები ჰპოვებდნენ მხატვრულ და ტექნიკურ ჩვევებს.

ყველა ხსენებული სტილის ნიშანი ნათელი და გასაგები ხდება ადრექრისტიანული ესთეტიკისა და ფილოსოფიურ-რელიგიურ სწავლებათა ფონზე. საკმარისია გავიხსენოთ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება. ფსევდო-დიონისეს ციური იერარქიის თეორია თავისებურად არის გამოყენებული ქართული ქვასვეტების რელიეფურ პროგრამებში. ასეთივე მნიშვნელოვანი იყო მხატვრული შემოქმედები-სათვის მისი სიმბოლოების თეორია. ქართული



სურ. 10. მამულას ქვასვეტი

ქვასვეტების რელიეფური „ხატები“ მორწმუნეთათვის წარმოადგენდა იმ სიმბოლოებს, რომლებიც მთელ სამყაროს მოიცავდა. ეს იყო ის „გრძნობადი სახეები“, რომელთა მეშვეობით მორწმუნენი „მაღლდებოდნენ, როგორადაც შესწევდათ ძალი, ღვთიურ ჭეშმარიტებამდე“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). ფსევდო-დიონისეს ეს აზრი განავრცო და განავითარა იოანე დამასკელმა: „...გრძნობადი აღქმისათვის მისაწვდომ, გასაგებ სიმბოლოებს ავყავართ ამ სიმბოლოების მიღმა დაფარული ტრანსცენდენტურის შემეცნებასთან“.


ქვაჯვარების რელიეფური კომპოზიციების კვლევამ ცხადჰყო, რომ ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე ქართველი ოსტატებისათვის წაცნობი იყო ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სწავლება და ისინი თავის შემოქმედებაში მის თეორიულ კონცეფციებს იყენებდნენ.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სწავლებამ, რომელიც საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების ესთეტიკურ აზროვნებას, საქართველოშიც

ხელსაყრელი ნიადაგი ჰქოვა. განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ სიმბოლოთა და ნიშანთა გამოყენების ორმაგი ბუნების განმარტება (ეპისტოლე IX,1) – სიმბოლო, ნიშანი, ხატი ერთსა და იმავე დროს ორი მიზნისთვის გამოიყენება: ერთი მხრივ, ისინი ემსახურებიან ჭეშმარიტების გაცხადებას, მეორე მხრივ კი მათ შეიძლება სრულიად სხვა ამოცანა ჰქონდეთ – ჭეშმარიტებისა თუ რაიმე აზრის დაფარვა.

უაღრესად მნიშვნელოვანია ფსევდო-დიონისეს ფორმულა წმინდა სახეთა შესახებ. მისი აზრით, ხატის მეშვეობით ადამიანი უახლოვდება გამოუთქმელისა და ღვთაებრივის შეცნობას (ეპისტოლე X). იგი აგრეთვე იძლევა მითითებას ღმრთის სიტყვის განსხეულების განხორციელებისათვის (ეპისტოლე IX).

ქვასვეტების რელიეფური პროგრამების ხასიათი, თემების შერჩევის პრინციპები ლიტურგიასთან მათ კავშირს გვიჩვენებს. პირვანდელ ადგილას დაცული ქვაჯვარები (კუმურდოს ქვაჯვარა, მაშავერას ხეობის ქვაჯვა-



სურ. 11. უსანეთის ქვასვეტი

